ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომაზე

განხილულ საკითხთა ნუსხა

1.ქობულეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ - განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე;

2.ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიისთვის რეკომენდაციის გაწევა ,,მცირე საგრანტო პროგრამა ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისათვის“ ამოქმედების შესახებ;

ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს
კომისიის სხდომის
ოქმიN1

ქ.ქობულეთი 12 თებერვალი 2020 წელი
სხდომა დაიწყო: 14-00 საათზე
დამთავრდა: 15-30 საათზე
სხდომას უძღვებოდნენ: გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ლია შაქარიშვილი;
სხდომას ესწრებოდა: რომან მოწყობილი, გურამ აბაშიძე, დავით ვერულიძე, გია მჟავანაძე, დავით წულუკიძე, ქეთინო ქათამაძე, იოსებ ჟღენტი,ავთანდილ ანანიძე, პაატა ცინარიძე, აზა ბოლქვაძე,ნარგიზ ჯინჭარაძე, ნათია გოგიტიძე.
სხდომას არ ესწრებოდნენ: ნინო ნოღაიდელი, დავით მჭედლიშვილი, ნარგიზ რომანაძე, ნანა კალანდაძე, ნათია თხილაიშვილი, გიორგი გოგიტიძე, ვიტალი ქარცივაძე, ნაილე ლაზიშვილი, მამია ჟორდანია, ლელა ვერულიძე.
სხდომას ესწრებოდა: ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის II სტრუქტურული ერთეულის III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმის წარმოების საკითხებში მარიამ ცეცხლაძე.

გენდერული საბჭოს თავმჯდომარემ ლ.შაქარიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

1.ქობულეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ - განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე;

(მომხსენებელი ლია შაქარიშვილი)

2.ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიისთვის რეკომენდაციის გაწევა ,,მცირე საგრანტო პროგრამა ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისათვის“ ამოქმედების შესახებ;

(მომხსენებელი ლ. შაქარიშვილი)

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

1.ქობულეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ - განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე - მოხენება გააკეთა ქობულეთის მუნიციპალური გენდერული საბჭოს თავმჯდომარე ლია შაქარიშვილმა, რომელმაც შეაფასა 2019 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგები და წარმოადგინა ახალი გეგმა. აღნიშნა, რომ გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების კუთხით ბევრი სირთულეა. როგორც წესი, გენდერული თანასწორობის გეგმის შექმნას წინ უნდა უსწრებდეს გრძელვადიანი სტრატეგიის მიღება, მაგრამ სტრატეგიის შექმნას სჭირდება, როგორც ფინანსური, ასევე მატერიალური რესურსები. მაგალითად, კვლევების ჩასატარებლად, რაც საფუძვლად უნდა დაედოს სტრატეგიას და შემდგომ იქცეს გეგმის ნაწილად. საჭიროა მუნიციპალურ დონეზე გენდერული სტრატეტეგიის ქონა და ამას უნდა მოყვეს გეგმა და შემდგომი ღონისძიებები. ამ ეტაპზე სტრატეგია არ გვაქვს, მაგრამ ეს არ არის შემაფერხებელი, ჩვენ მაინც ვმუშაობთ გენდერული მიმართულებით. სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს ზოგად პოლიტიკას გენდერული კუთხით, თუ როგორ უნდა იმუშაოს მუნიციპალიტეტმა.

საბჭოს მიერ ჩემი ავტორობით ინიცირებული მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა წამახალისებელი პროგრამა ,,დავით ხახუტაიშვილისა და ნინო ჯავახიშვილის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისთვის” დაკავშირებით კარგი მდგომარეობაა და გვაქვს დაპირება რომ გაზაფხულზე უკვე შესაძლებელია გათვალისწინება ბიუჯეტში. ასეთ შემთხვევში, ზაფხულში მოხდება კონკურსის გამოცხადება.

2018-2019 წლების გეგმის თანახმად გენდერული საბჭოს დებულებაში აისახა მდივნის ფუნქციების სამუშაო აღწერილობა, არჩეულ იქნა მდივანი, საკრებულოს უხუცესი წევრი - რომან მოწყობილი, რომელიც ღირსეულად ართმევს თავს ამ თანამდებობას. მდივნის ასევე, საბჭოში ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები გვყავს წარმოდგენილი.

სამომავლოდ, მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის რეკონსტრუქციის შემდეგ, იგეგმება მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე გენდერული საბჭოს დებულების, შემადგენლობის, სამოქმედო გეგმისა და განხორციელებული საქმიანობის ასახვა. ამ ეტაპზე, ამის შესაძლებლობა არ არის გვერდის ტექნიკური გაუმართაობის გამო. საბჭოს დაინტერესების და კვლევის მიზანს სოციალური ჯგუფებიც წარმოადგენენ და ეს გეგმის ნაწილია. გეგმაში ზოგადი ფორმულირებაა, თუმცა გვსურს კომპაქტურად დასახლებული ბოშებისთვის გადაიდგას გარკვეული ნაბიჯები. საბჭოს წევრმა, N5 საჯარო სოლის დირექტორმა ნარგიზ ჯინჭარაძემ ეს თემი წინ წამოსწია თავისი საქმიანობით და ჯუმბერ ალიმოვი, რომელიც ამ სკოლის მოსწავლეა, რომელიც უმაღლესი განათლების მისაღებად ემზადება. ეს საუკეთესო პრეცენდენტს შექმნის ბოშათა თემის ინტეგრაციის კუთხით, რადგან ისინი სოციალურად დაუცველ, მოწყვლად ჯგუფს განეკუთვნებიან.

ყველა გარე რესურსს ვიყენებთ, რომ ჩვენი აქტივობა გამოვაჩინოთ. 2019 წელს, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელთან პარტნიორობითა (CENN) და USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით გენდერული საბჭოს ეგიდით

განვახორციელეთ ჩვენი პროექტი კონკურსის სახით „ეფექტური სლოგანი ნარჩენების მართვის თემაზე“. კონკურსმა მოქალაქეებს დაანახა გენდერული საბჭოს საქმიანობის სარგებელი, ნარჩენების მართვის თემის გენდერული ასპექტები. ასე, რომ შეგვიძლია დავაინტერესოთ დონორი ორგანიზაციები და გამოვიყენოთ მსგავსი ღონისძიებების განსახორციელებლად.

სამოქმედო გეგმა საკმაოდ მოცულობითია, გენდერული კუთხით დაინტერესებული მხარეების როლი ძალიან დიდია ამ გეგმის შექმნის, დამუშავების და დახვეწის პროცესში.

ნარგიზ ჯინჭარაძემ, რომელიც აქტიურად მუშაობს ქობულეთში კომპაქტურად დასახლებულ ბოშათა თემზე - აღნიშნა, რომ სასურველია არსებობდეს ქობულეთში მაცხოვრებელი მოწყვლადი ჯგუფების ბაზა.

ლია შაქარიშვილი - როგორ მივიღოთ ამ ტიპის ინფორმაცია? თქვენ, როგორც დამოუკიდებელი მკვლევარი რას გვირჩევთ? 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით დათვლილია, თუმცა მას შემდეგ მდგომარეობა შეცვლილ იქნება.

ნარგიზ ჯინჭარაძე - ბოშათა რაოდენობა დათვლილია, თუმცა ცდომილება არის ძალიან დიდი. არასწორადაა დათვლილი. 300-დეა თუმცა საარჩევენო სიაშია 120-მდე. ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლების დახმარებით შეგვიძლია ინფორმაცია მოვიპოვოთ კანონის ფარგლებში, თუ იქნება ასეთი ბაზა ძალიან დიდი ხელშეწყობა იქნება დონორი ორგანიზაციების მხრიდან მოწყვლადი ჯგუფებისთვის. თუ ქობულეთი დაიწყებს ამას, მოგვბაძავს სხვა მუნიციპალიტეტები. მოწყვლად ჯგუფებს სჭირდება მხარდაჭერა იგივე შშმ პირები, უნდა იყოს ამის ბაზა თუნდაც გენდერული ჭრილით. ზუსტი ინფორმაცია საქართველოს მაშტაბითაც კი, იმიტომ რომ თვითონ ბოშები არ ამბობენ ზუსტ ინფორმაციას. ქობულეთში ყველაზე ინტეგრირებულები არიან ვიდრე დანარჩენ საქართველოში.

ნათია გოგიტიძემ აღნიშნა, რომ ბოშები არ გამოხატავენ ურთიერთობის ინტერესს. მხოლოდ მაშინ კონტაქტობენ, თუ საქმე საჩუქრებს ან ფულად დახმარებას ეხება. გავიცანი მათი ე.წ. ,,ბარონი“, რომელსაც ავუხსენი ყველაფერი, თუ რა დახმარების გაწევა შეუძლია ჩვენს არასამთავრობო ორგანიზაციას მათთვის, სკოლის ასაკის ბავშვებისთვის, ან თუნდაც დოკუმენტური ფილმის გადაღება მათი ყოველდღიურობის შესახებ, თუმცა მისი ინტერესი მხოლოდ ფინანსური ნაწილი იყო. მათი ცხოვრების წესიდან გამომდინარე არ კონტაქტობენ.

რომან მოწყობილი - მთელი მსოფლიოს პრობლემაა ეს მომთაბარე თემი. მათი რაოდენობის დადგენა, მათი ინფორმირება და ინტეგრაცია სურს ყველას, თუმცა თვითონ არ აქვთ ამის სურვილი.

ავთანდილ ანანიძე - კარგი იქნება ბოშების აღრიცხვის პროცესში უბნის ინსპექტორების ჩართვაც.

ნარგიზ ჯინჭარაძე - უნდა შეიქმნას მობილური ჯგუფი - წარმომადგენლები მუნიციპალიტეტიდან, ჯანდაცვის და სოციალური სამსახურიდან, განათლების სფეროდან,

სამართალდამცავი უწყებიდან. ადგილობრივი მუნიციპალიტეტებიდან უნდა დაიწყოს ასეთი სახის მუშაობა, რომ სახელმწიფომ მიიღოს სრული სურათი.

ლია შაქარიშვილი - მათი ინტეგრაცია ნამდვილად რთული პროცესია, თუმცა ჩვენ უნდა ვეცადოთ და მაქსიმალური გავაკეთოთ, რომ ამ პროცესს შევუწყოთ ხელი. გაგებით უნდა მოვეკიდოთ მათი ქცევის თავისებურებასაც. მეტიც, ეს ჩვენი პასუხისმგებლობა და არასაკმარისი ნაბიჯებია, თუკი ისინი გაურბიან ინტეგრაციას. ვაღიაროთ, რომ ჩვენი მხრიდანაც არ არის თანასწორობის განცდა. სწორედ ეს არის მიზეზი მათი ჩაკეტილობისა. ჩვენი სახელწიფოს სტრატეგიაც თანასწორობის მიღწევაა. უნდა გავთავისუფლდეთ სტერეოტიპებისგან თითოეული ჩვენგანი და ვიმუშაოთ ცნობიერების ამაღლებაზე. უნდა გავაკეთოთ იდენტიფიცირება, რამდენი გვყავს მუნიციპალიტეტში, რა ასაკობრივი ჯგუფები.

ქობულეთისმუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

აღნიშნული საკითხი განხილულ იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

2.ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიისთვის რეკომენდაციის გაწევა ,,მცირე საგრანტო პროგრამა ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისათვის“ ამოქმედების შესახებ - მოხენება გააკეთა ქობულეთის მუნიციპალური გენდერული საბჭოს თავმჯდომარე ლია შაქარიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ პროექტის მიზანია ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიისთვის რეკომენდაციის მიცემა ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალების ეკონომიკური გაძლიერების მიზნით მცირე საგრანტო პროგრამის ამოქმედების შესახებ.

ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ: ქალთა ეკონომიკური გაძლიერება გენდერული თანასწორობის მიღწევის მთავარი საშუალებაა. გენდერული დისკრიმინაციის მიზეზს, ხშირ შემთხვევაში, ფინანსურ რესურსებზე არათანაბარი წვდომა წარმოადგენს. პროექტი მიზნად ისახავს ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალების ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხელშეწყობას, ფინანსურ რესურსებზე თანაბარი წვდომის გაზრდას და მოწყვლადი ჯგუფების შემცირებას, მათთვის ეკონომიკური საქმიანობის წამოწყებისთვის საჭირო ფულადი რესურსის შეთავაზებით. პროექტის შედგენას წინ უსწრებდა ქალთა ხშირი მომართვიანობა, რომლებიც ცალკეულ შემთხვევაში ფლობენ გარკვეულ ხელობას, მაგრამ არ მიუწვდებათ ხელი თავიანთი პროფესიის შესაბამისი ხელსაწყოების შეძენაზე. აღნიშნული პროექტის მიზანია მასში ჩართოს, როგორც სოფლად, ასევე ქალაქად მცხოვრები, როგორც ქართველი, ასევე ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი ქალები.

პროგრამის ფინანსური მოცულობა:15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარია.

პროგრამის შინაარსი: პროგრამა განკუთვნილია ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალებისთვის, რომლებიც ფლობენ გარკვეულ ხელობას და/ან სურთ დამოუკიდებელი მცირე სამეწარმეო საქმიანობის წამოწყება, მაგრამ არ გააჩნიათ შესაბამისი ფინანსური რესურსი. პროგრამის განხორციელება მოიცავს ორ ფაზას. საინფორმაციო შეხვედრებს, რომლებიც გაიმართება ადმინისტრაციულ ერთეულებში, რომლებზედაც დაინტერესებული პირები გაეცნობიან კონკურსის პირობებს, პროექტების შედგენის წესებს და მეორე ფაზა, უშუალოდ პროგრამის განხორციელება. გამარჯვებულ პროექტზე დაფინანსების მაქსიმალური მოცულობა 1500 ლარამდეა. წარმოდგენილი საკონკურსო პროექტის უპირატესობა შეფასდება კრეატიულობით, ასევე წარმოდგენილი პროექტით მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს კონკურსით გათვალისწინებული ფინანსური ლიმიტის ფარგლებს. პროგრამაში მონაწილე პროექტებს შეაფასებს სამოაქალაქო საზოგადოება მეტი ობიექტურობის განცდის უზრუნველყოფისთვის.

წარმოდგენილი პროექტების შესაძლო სფეროები:სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ხელსაქმე, კულტურული, საყოფაცხოვრებო ნივთების, ტრადიციული ნიშნით სამკაულების დამზადება და სხვა.

პროგრამის გენდერული ასპექტის დასაბუთება: ხშირ შემთხვევაში, ოჯახური ძალადობის ძირეული გამოკვლევები აჩვენებს, რომ მიზეზი ეკონომიკური სიდუხჭირე, ქალების ფინანსური დამოუკიდებლობის უქონლობაა. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაურთველობის მიზეზიც საკუთარი საქმის უქონლობაა და ამიტომ მნიშვნელოვანია ქალთა ფინანსური დამოუკიდებლობის სურვილის სტიმულირებაა

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი: მცირე მეწარმეობის სტიმულირება ქალებში, ქობულეთელი ქალების ფინანსური დამოუკიდებლობის ხელშეწყობა, თანასწორობისა და თანაბარუფლებიანობის განცდის ამაღლება, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართული ქალები, გაუმჯობესებული სოციალური სურათი.

პროექტი ასევე განხორციელდება შშმ ქალებზე. საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩო ავალდებულებს ჩვენს ქვეყანას გენდერული კუთხით გადადგას ქმედითი ნაბიჯები და ქალთა ჩართულობის გაზრდა მოხდეს საზოგადოების ყველა სფეროში. საკანონმდებლო ჩარჩო მოწესრიგებულია, თუმცა პრაქტიკული და ქმედითი ნაბიჯებია გადასადგმელი.

წარმოდგენილი დოკუმენტი მუშა პროექტია და შესაძლოა საჭიროებდეს დახვეწას, ერთობლივად შეგვიძლია ვიმუშაოთ ამაზე.

დავით ვერულიძემ განაცხადა, რომ ეს პროექტი ნამდვილად მისასალმებელი და საჭიროა მუნიციპალიტეტისთვის. სამართლებივად უნდა დავხვეწოთ და ამოქმედებაზე ვიმუშაოთ.

ლია შაქარიშვილმა - აღნიშნა, რომ ბოლო პერიოდში გაჩნდა პრეცენდენტები, რომ ბოშა გოგონები იღებენ განათლებას საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალ ტალღა“-ში, სწავლობენ ხელობას. მათ სურვილი აქვთ, რომ იყვნენ საზოგადოების ღირსეული წევრები და თუკი ჩვენ ვიქნებით ხელშწემწყობი, ამით შევასრულებთ საერთაშორისო ვალდებულებებსაც.

დავით წულიკიძე - პროექტი მეტად მნიშვნელოვანია და ქალთა როლის გაზრდას უჭერს მხარს. ქობულეთში მოქმედმა ა.ო. ,,ღირსეულმა სიბერე“-მ ბევრი ქალბატონი დაასაქმა და ხელი შეუწყო. კარგია თუ ავიღებ ასეთ მაგალითებს და ქალი მეწარმეების სტიმულირებას მოვახდენთ.

ნათია გოგიტიძე - გამოკვეთილი იქნება ვინ მიიღებს ამ გრანტს?

ლია შაქარიშვილი - კონკურსი ჩატარდება და იმის მიხედვით მოხდება ქალების დაფინანსება. 18 წლის ზემოთ ქალები და არ უნდა ჰქონდეთ დავალიანებები საფინანსო ორგანიზაციებთან.

ავთანდილ ანანიძე - პროგრამას მისი ხარჯთაღრიცხვა უნდა ახლდეს. კონკრეტული ციფრებით უნდა მივმართოთ მერიას. ფინანსურად დასაბუთებული უნდა იყოს და არა ბუნდოვანი.

დავით ვერულიძე - პოტენციურ პროექტზე ზუსტი ხარჯთაღრიცხვა ვერ იქნება და ასე უნდა გავითვალისწინოთ. ესაა გრანტი და პოსტფაქტუმ გვიწევს დაფინანსება.

ლია შაქარიშვილი - ეკონომიკურად ძლიერი ქალები დამოუკიდებლები არიან და ნაკლებად არიან ძალადობის მსხვერპლი.

ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

აღნიშნული საკითხი განხილულ იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

ნათია გოგიტიძემ სხდომის დასრულების შემდეგ აღნიშნა, რომ ა.ო. ,,მხარდაჭერა განსაკუთრებულ საჭიროებებ“-მა ერთი პროექტი უკვე განახორციელა ,,ქობულეთის ბავშთა განვითარების ცენტრი“ და ახლა ,,მცირე საოჯახო ტიპის სახლები ფსიქიკური და ინტელექტუალური შეზღუდვების მქონე მოქალაქეებზე“ იწყებს განხორციელებას. სახელმწიფო სტატეგია არის უნდა დაიშალოს დიდი ინსტიტუციები, სადაც განთავსებულები არიან ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანები. გადავიდეს ეს მცირე საოჯახო ტიპის სახლებში. სახელმწიფო ვაუჩერებით განთავსდებიან, 900 ლარი თვეში. შერჩეულია სოფელ ალამბარში საცხოვრებელი სახლი. ბენეფიციარები იქნებიან 18 წლის ზევით. 6 ადამიანი

იცხოვრებს ერთ სახლში. მათ ეყოლებათ მომვლელები,რომლებიც იმუშავებენ ცვლებში. სახლი იქნება იჯარით და მოვიყვანთ სტანდარტებში.

აღნიშნული ინფორმაცია ცნობად მიიღეს გენდერული თანსწორობის საბჭოს წევრებმა და აღნიშნეს, რომ ეს კიდევ ერთი ნაბიჯია სახელმწიფოს მხრიდან მოწყვლადი ჯგუფების სოციალური თანასწორობის მისაღწევად.

ქობულეთის მუნიციპალური გენდერული

თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ლ. შაქარიშვილი

ქობულეთის მუნიცპალური გენდერული

თანასწორობის საბჭოს მდივანი რ. მოწყობილი